ნარდობის ხელშეკრულება № 127

ქ.რუსთავი 24 დეკემბერი 2012 წელი

ა.ა.ი.პ. „ქალაქი რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში „შემკვეთი“), მისი დირექტორის ია ქელბაქიანის სახით, ერთის მხრივ და შ.პ.ს.. „ჯეიონონ“ (შემდგომში „მენარდე“), მისი დირექტორის ონისე საბიაშვილის სახით, მეორეს მხრივ, შევთანხმდით ურთიერთშორის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629–656–ე მუხლების საფუძველზე, დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „მენარდე“ კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო „შემკვეთი“ ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ავეჯი, რომელიც განკუთვნილია 27–ე ფილიალისთვის და რომლის რაოდენობა და დასახელება მითითებულია დანართ 1–ში.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობები

3.1. „მენარდე“ ვალდებულია დაამზადოს ხელშეკრულების დანართ 1–ში მითითებული საგნები.

3.2. „მენარდე“ ვალდებულია პირადად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო.

3.3. „მენარდე“ ვალდებულია ხელშეკრულების ობიექტი დაამზადოს საკუთარი მასალით. „მენარდე“ პასუხს აგებს მასალის ხარისხზე.

3.4. დამზადებული საგნების საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს.

3.5. „მენარდე“ ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

3.6. ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მენარდე“ იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%–ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

3.7. თუ შესრულებული სამუშაო ნაკლის მქონეა, „მენარდე“ ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი.

3.8. „მენარდეს“ უფლება არა აქვს მოითხოვოს, ნაკლის აღმოფხვრისათვის, დამატებითი ანაზღაურება.

3.9. „შემკვეთი“ უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულება თუ ის ნაკლის მქონეა.

3.10. თუ „მენარდის“ მიერ ვადაგადაცილებამ შეადგინა 10 (ათი) დღე, „შემკვეთი“ უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

3.11. „შემკვეთი“ უფლებამოსილია ავანსის სახით წინასწარ გადაიხადოს გარკვეული თანხა.

3.12. „შემკვეთი“ ვალდებულია მიიღოს შესრულება, თუ ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

3.13. „შემკვეთი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მენარდეს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4. ხელშეკრულების ღირებულება და გადახდის წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაობის შესრულებისათვის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება 7 825 (შვიდიათას რვაასოცდახუთი) ლარით.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით.

4.3. „შემკვეთი“ ავანსის სახით იხდის ხელშეკრულების ღირებულების 30%–ს, ხოლო საბოლოო ანგარიშწორება ხორციელდება „შემკვეთის“ მიერ სამუშაოს სრულად მიღებიდან 5 დღის ვადაში.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელისმოწერიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. ფორს მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ